საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო
MINISTRY OF EDUCATION, SCIENCE, CULTURE AND SPORT OF GEORGIA

MES 8 20 0000956524

07/10/2020

უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებს

გიგზავნით ინფორმაციას გაეროს ახალგაზრდა პროფესიონალთა პროგრამის (UN Young Professionals Program - YPP) შესახებ, რომელიც ყოველწლიური დასაქმების ინიციატივაა და მიზნად ისახავს მთელი მსოფლიოს მასშტაბით გამორჩეული და მაღალკვალიფიციური ახალგაზრდა პროფესიონალების შერჩევას და დასაქმებას გაეროში.

ახალგაზრდა პროფესიონალთა პროგრამა შემდეგ ეტაპებს მოიცავს: **განაცხადის წარდგენა, ორ-ეტაპიანი ონლაინ გამოცდა და გასაუბრება.** ის კანდიდატები, რომლებიც წარმატებით გაივლიან განაცხადის წარდგენის, გამოცდებისა და გასაუბრების ფაზებს, მოხვდებიან **გაეროს შესაბამის ბაზაში, რომელიც მოქმედია სამი წლის განმავლობაში.** YPP ბაზა გამოიყენება გაეროს სამდივნოს მასშტაბით პროფესიული ვაკანსიების შესავსებად.

მონაწილე ქვეყნების სია წლიდან წლამდე იცვლება. 2015 წლის შემდეგ, გაეროს გადაწყვეტილებით, **წელს საქართველო კვლავ მიიღებს მონაწილეობას** აღნიშნულ პროგრამაში.

მონაწილეობის კრიტერიუმები:
ონლაინ გამოცდები ჩატარდება მონაწილე ქვეყნის მოქალაქეებისთვის, რომლებსაც აქვთ ბაკალავრის დიპლომი ან გამოცდის საგნის შესაბამისი მინიმუმ 3 წლიანი აკადემიური ხარისხი. **განმცხადებლების ასაკი არ უნდა აღემატებოდეს 32 წელს** და ისინი თავისუფლად უნდა ფლობდნენ ინგლისურ და/ან ფრანგულ ენებს.

გაეროს საჭიროებიდან გამომდინარე, YPP გამოცდა ტარდება წელიწადში ერთხელ სხვადასხვა მიმართულებით.

2020 წლის საგამოცდო მიმართულებებია:
1) მართვა და ადმინისტრირება;

0102 ქ. თბილისი, დიმიტრი უზნაძის ქ. N52
52 Dimitry Uznadze str. Tbilisi 0102, Georgia
ტელ/Tel.: (+995 32)2 200 220

2) გლობალური კომუნიკაციები;
3) პოლიტიკური ურთიერთობები და ადამიანის უფლებები.

მიმდინარე წელს განცხადებების წარდგენის ბოლო ვადაა 31 ოქტომბერი.

თანდართულ დოკუმენტაციაში გთხოვთ იხილოთ საინფორმაციო ბროშურა (ქართულად).

პატივისცემით,

უმაღლესი განათლებისა და მეცნიერების
განვითარების დეპარტამენტი
დეპარტამენტის უფროსი
წერეთელი ნინო